

სანიაღვრე წყლების დაბინძურება მცირე ურბანულ ადგილებში

ზურაბ ჯიქია

ელ-ფოსტა: zurab.jikia@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

სანიაღვრე წყლები მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემაა ქალაქებსა და დაბებში. როდესაც წვიმა მოდის წყალგაუმტარ ზედაპირზე, იგი გადარეცხავს მათზე დაგროვებულ დამაბინძურებლებს და გადააქვს ადგილობრივ წყალმიმღებ ობიექტებში. დაბინძურებული სანიაღვრე წყალი საფრთხეს უქმნის როგორც ადამიანის ჯანმრთელობას, ასევე ეკოსისტემას.

ურბანულ რაიონებში სანიაღვრე წყლების დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის სხვადასხვა წყაროდან მათი წყალგაუმტარ ზედაპირზე აკუმულირება. წყაროები შეიძლება იყოს (თუმცა არ შემოსაზღვრება), ავტომობილების ცვეთის მასალები, გაზონები, საგზაო ნიშნები, ნაგავი და სამშენებლო ნარჩენები.

განვითარებად ურბანულ დასახლებებს ხშირად არ გააჩნიათ წვიმის წყლის მართვის ადეკვატური ინფრასტრუქტურა. არასაკმარისი ან მოძველებული სადრენაჟე სისტემები, შეკავების ავზების ან მწვანე ინფრასტრუქტურის არ არსებობა ხელს უწყობს პიკური ჩამონადენების გაზრდას და დამაბინძურებლების ბუნებრივი ფილტრაციის შემცირებას.

სანიაღვრე წყლების დაბინძურების საკითხის გადასაჭრელად საჭიროა პროაქტიული ზომების მიღება. უპირველეს ყოვლისა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წვიმის წყლის მართვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. არსებული სადრენაჟე სისტემების რეკონსტრუქციას და ისეთი ფუნქციების დამატებას როგორცაა, წყალგამტარი/შემკავებელი ტროტუარები, ბიორეტენციის გამწვანებები ან/და ადგილები, შეკავების ავზები. ასეთი მწვანე ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებები არა მხოლოდ ამცირებს წვიმის წყლის პიკურ ჩამონადენს და ახდენს მათ პირველად გაწმენდას არამედ ხელს უწყობს ურბანული ტერიტორიებზე ესთეტიკურად მიმზიდველი გარემოს შექმნას.